

როზა ლორთიშვილისმა, როლანდ პოპალიანი, ალექსანდრა
ჩავიჩაძემა, ნილი კელვინერიძემა, ნუნე ჩაჩიძენი



საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდი

national state fund of Georgia

გრანტი 507

„ხემო აფხაზეთის ნიაღაგაის ცაჟოვიერების ამაღლება და მათზე
თხილის კლანების გაშენების ფაზოლობიერების დამოწმებისას,,

„Improving soil fertility and demonstration of technology of a plantation boarding of nut
Upper Apkhazia.,,

თხილის კლანების გაშენების დამოწმებისას
მულტიპლიკაციის გავლენა ნიაღაგის ცაჟოვიერებაზე

influence of Intercropping on soil fertility in the nut
plantation



აკაკი ცერეტელის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

Akaki Tsereteli State University

ქუთაისი Kutaisi
2011

აკრება, დაგაბადონება, ტირაჟირება:
კომპიუტერულ ფირმაში „მზე-2006“
ქ. ქუთაისი, პუშკინის ქ. №14
ტელ.: 4-66-50



სადემონსტრაციო ნაკვეთი

როზა ლორთიშვილისმა, როლანდ პოპალიანი, ალექსანდრა
ჩავიჩაძე, ნილი პელეშევიძე, ნუნე ჩაჩიძენი



საქართველოს ეროვნული სამმართვო
ფონდი

national state fund of Georgia

გრანტი 507

„ზემო აფხაზეთის ნიაღაგვების ცაყოფილების აგაფლება და მათზე
თხილის პლანტაციის გაშენების ფეროლოგიურის დემონსტრირება,,

„Improving soil fertility and demonstrarion of technology of a plantation boarding of nut
Upper Apkhazia,,

თხილის პლანტაციაში შუალედური
კულტურების გაგლენა ნიაღაგის ცაყოფილებაზე

influence of Intercropping on soil fertility in the nut
plantation



აკაკი ცერეთელის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

Akaki Tsereteli State University

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

გრანტი N 507

სამეცნიერო ხალმძღვანელი:

პროფესორი როზა ლორთქიფანიძე

მენეჯერი:

პროფესორი როლანდ კობალიანი

მეცნიერ-თანამშრომლები:

პროფესორი ზურაბ ჩანტლაძე

პროფესორი ნუგზარ ებანოიძე

ასოც. პროფესორი ნუნუ ჩაჩხიანი

ასოც. პროფესორი ალექსანდრა ჩაფიჩაძე

ასოც. პროფესორი ნელი კელენჯერიძე



გრანტის თანამშრომლები სადემონსტრაციო ნაკვეთზე

დამხმარე პერსონალი:

რუსუდან ლაკვეხელიანი-ლორთქიფანიძე

ნინო ავალიშვილი

ნინო კელენჯერიძე

ნატალია სანოვლაძე



სადემონსტრაციო დღე

ცხრილი 2.

ნოსირის საცდელი ნაკვეთის ნიადაგის აგროქიმიური მაჩვენებლები
გარიანტების მიხედვით

(0-20 სმ სიღრმე)

| № | გარიანტი | ჰუმური % | | ჰიდროლიზებადი აზოტი მგ/100გნ. | |
|---|---|----------|-------|----------------------------------|-------|
| | | 2009წ | 2010წ | 2009წ | 2010წ |
| 1 | საკონტროლო | 2,92 | 2,90 | 20,9 | 20,4 |
| 2 | სიმინდი სამარცვლებელი | 2,91 | 2,95 | 20,3 | 21,0 |
| 3 | სოია სამარცვლებელი | 2,95 | 3,30 | 22,8 | 23,8 |
| 4 | სიმინდი+ სოია | 2,93 | 3,00 | 22,4 | 22,4 |
| 5 | სოია მწვანე სასუქად ჩახვნით ყვავილობის ფაზაში | 2,99 | 3,60 | 24,6 | 24,6 |

საქართველო მცირემიწიან ქვეყანათა ჯგუფს მიეკუთვნება, რაც აუცილებელს ხდის ინტენსიურად იქნას გამოყენებული არსებული მიწის ფონდი. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ენიჭება აუთვისებელი ნიადაგების გაცულტურებასა და მათ გამოყენებას მაღალრენტაბელური სასოფლო-სამუშაოებით კულტურების წარმოებისათვის. დასავლეთ საქართველოს ნიადაგებისათვის დამახასიათებელია მექანიკური და ქიმიური შედგენილობის სიკრელე. მიწის ფონდის 30 % უკავია დაბალნაყოფიერ, ალუვიურ ნიადაგებს, რომლებიც გამოსულია სასოფლო-სამუშაოებით საგარებულების ფონდიდან – არის გაეწერებული და გამდელოებული.

აქამდე სამეცნიერო სამუშაოების აგრონომიული თვისებების კომპლექსური მეცნიერული შესწავლა ფაქტორულ არ ჩატარებულა და მათი გამოყენება სასოფლო-სამუშაოებით კულტურების ქვეშ ხდება შესაბამისი აგროტექნიკურობის გამოყენების გარეშე.

გამომდინარე აქედან აუცილებელია ალუვიურ ნიადაგებზე გარკვეული აგროდონოსტიურების ჩატარება მათი ნაყოფიერების ამაღლების მიზნით.

სახნაგ-სათესი ფართობების სიმცირის გამო საჭიროა, ახალგაზრდა მრავალწლიანი ნარგავების მწერივთაშორისებრივი მოვიყენოთ შუალედური კულტურები. ამით ერთის მხრივ რაციონალურად გამოვიყენებოთ ფართობს და მივიღებთ დამატებით მოსავალს, მეორეს მხრივ ხელს შესწორობთ ნიადაგის გაცულტურებას. შუალედური პარკოსანი კულტურები ზრდიან ნიადაგის ნაყოფიერებას, აუზობებების მის სტრუქტურას, ხელს უშლიან ნიადაგის ქარისმიერ და წყლისმიერ ეროზიას, დადებითად მოქმედებენ ნიადაგის მიკროფლორაზე, ნიადაგს იცავენ გადახურებისაგან, ახშობენ სარეგულებეს, ქმნიან წყლის რეჟიმის უკეთეს პირობებს. ისინი დაბალნაყოფიერი ნიადაგების ორგანული ნივთიერებებით გამდიდრების წყაროა და გამოიყენება მწვანე სასუქად.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მეცნიერ-მუშაკთა ჯგუფმა პროფესორ როზა ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით დაამუშავა პროექტი ალუვიური ნიადაგების ნაყოფიერების გაზრდის დონისმიერების შესახებ, რომელიც გაფორმდა რუსთაველის ფონდის გრანტით.

პროექტის არსი მდგრმარეობს სამეცნიეროსა და იმერეთის დაბალნაყოფიერი ნიადაგებზე შუალედური კულტურების გავლენის მეცნიერულ კვლევაში, მათზე თხილის კულტურის გაშენების მიზნით, შესაბამისი ტექნიკურობიერების დამუშავებასა და დემონსტრაციაში. პროექტი მიზნად ისახავს: 1. სამეცნიეროსა და იმერეთის ნიადაგების ფიზიკურ-ქიმიური თვისებების შესაბამისად სადემონსტრაციო ნაკვეთზე თხილის პლანტაციის გაშენებას და კვლევის საფუძველზე მათ აგროსაწარმოო დარაიონებას; 2. შუალედური კულტურების გამოყენებით დაბალნაყოფიერ ნიადაგებზე თხილის კულტურისათვის მიწათმოქმედების სათანადო სისტემის შერჩევას; 3. სამეცნიეროსა და იმერეთის ნიადაგებზე თხილის კულტურის მცენარეთა დაგადახებისა და მაგნებლების გამოვლენას და მათ წინაღმდეგ ბრძოლის უფლებური დონისმიერების შემუშავებას; 4. თხილის კულტურისათვის სამეცნიერო საწარმოო არგადის გაფართოებას;

5. სამეგრელოსა და იმერეთის რეგიონებში მაღალრენტაბელური სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ამაღლებას, შემოსავლების გაზრდას მცირე ფერმერულ მეურნეობებში.

პროექტის განხორციელებისათვის დაგეგმილი გვქონდა შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

1. სამეგრელოსა (სენაკის რ-ნი სოფ. ნოსირი) და იმერეთის (წყალტუბოს რ-ნი სოფ. გეგუთი) რეგიონებში, სადემონსტრაციო ნაკვეთებზე ნიადაგების კვლევა;
2. სადემონსტრაციო ნაკვეთებზე თხილის პლანტაციის გაშენება (საერთო ფართით 2 ჰა);
3. შეალებური გულტურების გავლენის შესწავლა ნიადაგების ნაყოფიერებაზე;
4. მცხარეთა დაავადებებისა და მავნებლების გამოვლენა და მათთან ბრძოლის ეფექტური დონისძიებების შემუშავება;
5. პროექტის შედეგების დემონსტრირება, დანერგვა და გავრცელება.

პროექტი მიზნად ისახავს: სუბტროპიკული ზონის (სამეგრელო, იმერეთი) აუთვისებელი მწირი ნიადაგების აგრონომიული თვისებების გასაუმჯობესებლად და ნაყოფიერების ასამაღლებლად თხილის პლანტაციებში მწკრივთაშორისებში შეალებური გულტურების (სიმინდი, პარკოსნები) გამოყენებას. პროექტის განხორციელების შედეგად შესწავლილი და აპრობირებული აგროტექნოლოგის დემონსტრირებას, დანერგვასა და გავრცელებას სამეგრელოსა და იმერეთის რეგიონებში. დაბალნაყოფიერი ალუვიური ნიადაგები ჩვენს კვლევაში განიხილება, როგორც ერთ-ერთი სარეზერვო ბაზა თხილის კულტურისათვის. ამ მიმართულებით დასავლეთ საქართველოში დაბალნაყოფიერი, მწირი ნიადაგების შესწავლა, შეიძლება ითქვას მეცნიერულად აუთვისებელი თქმა.

ზემოთ აღნიშნული ამოცანების განხორციელებლად ნაკვეთებზე ჩავატარეთ ნიადაგების ქიმიური და ფიზიკური თვისებების შესწავლა დღის დაყენებამდე და ცდის დაყენების პირველ-მეორე წლის ბოლოს. პროექტის მიზნების მისაღწევად, სამეგრელოსა (სოფ. ნოსირი) და იმერეთის (სოფ. გეგუთი) რეგიონებში სადემონსტრაციო ნაკვეთებზე მოხდება ნიადაგების ქიმიური და ფიზიკური თვისებების შესწავლა, გაშენდა თხილის პლანტაცია (2 წლიანი ხერგებით).

გრანტზე მუშაობა დაიწყო 2009 წლის 1 მარტიდან. ჩვენი ამოცანა იყო შეალებური კულტურების გავლენის შესწავლა ალუვიური ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლებაზე თხილის გაშენების მიზნით.

მრავალწლიანი კულტურების გაშენების პირველ წლებში მათ მწკრივთაშორისებში წარმატებით შეიძლება მოვიყვანოთ ერთწლიანი კულტურები ისე, რომ ხელი არ შეემალოს ძირითადი კულტურის (თხილი) ზრდა-განვითარებას. ხელი შევუწყოთ ნიადაგის გაკულტურებასა და ნაყოფიერების ზრდას. ამ მიზნით დაყენებულ იქნა ცდა შემდეგი სქემით:

**შეალებური კულტურების მოსავლის რაოდენობა ც/ჰა
გარიანტების მიხედვით
2009-2010წ.**

| № | გარიანტების დასახელება | მოსავლის რაოდენობა (ჰა) | | მოსავლის რაოდენობა (ც/ჰა) | |
|---|---|-----------------------------------|----------------------------------|---------------------------|-----------------------------------|
| | | 2009 | 2010 | 2009 | 2010 |
| 1 | შეალებური კულტურების გარეშე (საკ) | - | - | - | - |
| 2 | სიმინდის თესვა ახალგაზრდა თხილის პლანტაციის მწკრივთაშორისებში სამარცვლებლი | 760 | 300 | 38 | 15 |
| 3 | სოიას თესვა ახალგაზრდა თხილის პლანტაციის მწკრივთაშორისებში მწკრივიად სამარცვლებლი | 300 | 100 | 15 | 5 |
| 4 | სიმინდი+სოიას თესვა ახალგაზრდა თხილის პლანტაციის მწკრივთაშორისებში მწკრივიად სამარცვლებლი | 720 კბ სიმინდი+1 50 კბ სოია | 200 კბ სიმინდი+ 50 კბ სოია | 363 სიმინდი+6 ც.სოია | 10 ც სიმინდი+ 2,5 ც სოია |
| 5 | მწკრივთაშორისებში სოიას თესვა მობნევით ყვავილობის ფაზაში ნიადაგში ჩახვით | - | - | - | - |

ორი წლის მონაცემებით შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. ნიადაგის ნაყოფიერების ზრდის მიხედვით პირები ადგილზეა ვარიანტი – მწკრივთაშორისებში სოიას თესვა მობნევით უვავილობის ფაზაში ნიადაგში ჩახვნით, ხოლო მეორე ადგილზეა სოიას თესვა მწკრივთაშორისებში მწკრივად, სამარცვლელ.
2. შეალედური კულტურებიდან (სიმინდი, სოია) მიღებულია დამატებითი მოსავალი.
3. ნიადაგის ნაყოფიერების გადიდება საბოლოო ჯამში გამოიწვევს თხილის მოსავლის ზრდას.
4. შეიქმნება მინერალური აზოტის ალტერნატივა მწვანე სასუქის სახით.

1. შეალედური კულტურების გარეშე (საკონტროლო);
2. სიმინდის თესვა თხილის მწკრივთაშორისებში სამარცვლელ;
3. სოიას თესვა მწკრივთაშორისებში სამარცვლელ;
4. სიმინდის და სოიას შერევით თესვა მწკრივთაშორისებში სამარცვლელ;
5. სოიას თესვა მობნევით მწკრივთაშორისებში უვავილობის პერიოდში ჩასახნავად.

სოიას ფესვებზე მცხოვრები კოურის ბაქტერიები აწარმოებენ ატმოსფერული აზოტის გადაყვანას მცენარისათვის შესათვისებელ ფორმაში, ამდიდრებს ნიადაგს აზოტით, რომელიც ნიადაგიდან არ ირეცხება და ხელს უწყობს ექოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიღებას.

სოიას ჩახვნით ნიადაგი მდიდრდება ორგანული მასით, რაც ამაღლებს ნიადაგის ნაყოფიერებას. ამასთან, მწკრივთაშორისებში მობნევით ნათესი სოია მთლიანად ფარავს ნიადაგის ზედაპირს და ახმობს სარეველებს.

სიმინდი, როგორც სათოხნი კულტურა, ნიადაგს ტოვებს სარეველებისაგან გასუფთავებულსა და გაფხვიერებულს. ამასთან ერთად იგი ნაწილობრივ აფერხებს ქარის მაგნე მოქმედებას ძირითად კულტურაზე და ქმნის ხელსაყრელ პირობებს ახალგაზრდა ნარგავების ზრდისათვის. ამავე დროს შეალედური კულტურების თესვით ინტენსიურად ვიყენებთ ფართობს, ისე რომ ხელი არ ეშლება ძირითად კულტურას ზრდა-განვითარებაში და ვდებულობთ დამატებით მოსავალს თხილის დარგვიდან 3-4 წლის განმავლობაში.

ცდის დაყენებამდე ჩატარებული იქნა შემდეგი სამუშაოები:

- საცდელი ნაკვეთის შერჩევა – 1,8 პა ფართობი შეირჩა სენაკის რაიონის სოფ. ნოსირში, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო კვლევით მეურნეობაში. 0,2 პა შეირჩა ამავე მეურნეობის გეგუთის განყოფილებაში (წყალტუბოს რ-ნი)

- ფართობი მოვხანით 50 სმ სიღრმეზე პლანტაჟური წესით.
- ცდის დაყენებამდე აღებულ იქნა ნიადაგის ნიმუშები, 0-20, 20-40, და 40-60 სმ სიღრმეზე.

საანალიზოდ მომზადებულ ნიმუშებში განვხაზდვრეთ:

1. P^H – პოტენციომეტრით;
2. გაცვლითი მჟავიანობა – კაპენის მეთოდით;
3. შთანთქმული ფუძეების ჯამი ($Ca+Mg$) – კაპენის მეთოდით;
4. პიდროლიზებადი აზოტი ტიურინისა და კონანოვას მეთოდით, გადადენის წესით კელდალის ხელსაწყოთი;
5. შესათვისებელი ფოსფორი;
6. გაცვლითი კალიუმი;
7. ჰუმური – ტიურინის მეთოდით, ინდიკატორ დიფენილამინის გამოყენებით.

ნოსირის საცდელ ნაკვეთზე ჩატარებულმა ნიადაგის ანალიზებმა გვიჩვენა, რომ ნიადაგი არის ნეიტრალური რეაქციის, შთანთქმული ფუქსების ჯამი მაღალია და სიღრმის მიხედვით იზრდება 21-35 მგ/გქვ-მდგ.

ნიადაგი საკვები ელემენტებით – აზოტით, ფოსფორით და კალიუმით საშუალოდ უზრუნველყოფილია. პიდროლიზებადი აზოტი სიღრმის მიხედვით იზრდება, ფოსფორი და კალიუმი კი პირიქით.

ნიადაგში ჰუმუსი მერყეობს 2,95-დან – 0,93%-მდე და სიღრმის მიხედვით მცირდება. ჰუმუსის რაოდენობის მიხედვით ნიადაგი არის დაბალაყოფიერი.

სენაკის რაიონის სოფელ ნოსირში შერჩეულ ნაკვეთზე თხილის ნერგების დარგვის წინ ფართობი გადაიხსნა, დაიფარცხა, დაიგეგმა და ამოღებულ იქნა ორმოები სიღრმით 40 სმ, სიგანით – 75სმ, კვების არე (5X5) მ^2 . შეგანილ იქნა ორგანული სასუქი (ნაკელი 5კგ), რომელიც აურიეთ ორმოდან ამოღებულ ნიადაგში. ორმოს ამოღებიდან 2 კვირის შემდეგ დაირგო ორწლიანი თხილის ნერგის 2-2 მირი, თითოეულ ორმოში. თხილის ჯიში – "ანაკლია".

ორწლიანი ნერგის პლანტაციის გაშენებას ერთწლიანთან შედარებით გააჩნია უპირატესობა: ნერგი უფრო ძლიერია და დარგვიდან შედარებით ადრე შედის მსხმირაობაში.

ცდის დაუყნების შემდეგ ჩატარდა შემდეგი სამუშაოები:

თხილის მწყრივები გაითოვხნა 4-ჯერ, 25 დღის ინტერვალით ყველა ვარიანტზე. მწყრივთაშორისებში კულტივაცია 2-ჯერ (I ვარიანტზე), მწყრივთაშორისების გაფხვიერება – კულტივაცია II-III-IV ვარიანტზე ჩატარდა 1-ჯერ. მე-V ვარიანტზე კულტივაცია საერთოდ არ ჩაგვიტარებია, რადგან მობნევით დათესილმა სოიამ სარეველები მთლიანად ჩახტო.

ჩაგატარეთ სიმინდის გამტჩერება ორჯერ, საბოლოო კვების არე – 70X30 სმ m^2 . სიმინდის მწყრივების თოხნა ჩატარდა ორჯერ. ჩაგატარეთ სიმინდის გამოკვება ამონიუმის გვარჯილით ორჯერ, დოზის ნახევარი (150 კგ) შევიტანეთ მეორე თოხნის შემდეგ, ნახევარი (150 კგ) კი ყვავილობის დაწყების წინ.

რაც შეეხება სოიას, მას აზოტიანი სასუქით გამოკვება არ ჭირდება, რადგან მის ფეხვებზე განვითარებულ კოურებში დასახლებული ბაქტერიები აწარმოებენ ატმოსფერული აზოტის გადაყვანას მცენარისათვის შესათვისებელ ფორმაში.

თხილს, სიმინდსა და სოიას უამრავი მაგნებელი და დაავადება აზიანებს. ჩვენს მიზანს შეადგენდა თხილისა და შეალედური კულტურების მავნებლების და დაავადებების აღრიცხვა, მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ჩატარება. თხილის კულტურაზე აღინიშნა დაავადება – ანთრაქნოზი ანუ ყავისფერი ლაქიანობა. გამომწვევი სოკო Clowsporium coryli Sesm saec. ფოთლებზე აღინიშნა მუქი ყავისფერი

უსწორმასწორო ლაქები, რომლითაც ფოთლის ნახევარი იყო დაფარული. ფოთლის ქედა მხარეზე ლაქის ქეშ შავი წერტილები ჩანდა, რაც სოკოს ნაყოფიანობის მაჩვენებელია.

დაავადების სწრაფ განვითარებას ხელი შეუწყო ხშირმა წვიმებმა და ნესტიანმა ამინდმა.

დაავადების გამოჩენისთანავე თხილი შეიწამდა 0,3%-იანი რიდონების სამუშაო სხსარით (300 გრ. 100 ლიტრ წყალში).

შეალედურ კულტურებზე დაავადებები არ აღნიშნულა. აღრიცხვებს ვაწარმოებდით მაგნებლის გავრცელება-განვითარებაზე. როგორც თხილის, ისე შეალედურ კულტურებზე გავრცელებული იყო ვაზის ლურჯი რწყილი, რომლისგანაც თხილისა და სოიას ფოთლები იყო დახვრეტილი.

როგორც თხილის, ისე სოიას კულტურაზე ჩატარებული იქნა ბრძოლის ქმიტერი ღონისძიება, სადაც გამოვიყენეთ ბი-58 (ახალი) 0,2%-იანი სამუშაო სხსარი (200გ. 100 ლ წყალში). აღნიშნული პრეპარატის გამოყენების შემდეგ დაზიანება აღარ აღნიშნულა.

სიმინდისა და სოიას მოსავალი ავიდეთ შესაბამისად ოქტომბრისა და ნოემბრის ბოლოს, თესლის ფიზიოლოგიური სიმწიფის ფაზაში. მონაცემები მოტანილია ცხრილში № 1.

როგორც ცხრილში მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, ახალგაშენებულ თხილის პლანტაციის მწყრივთაშორისებში სიმინდისა და სოიას თესლით 2009 წელს დამატებითი მოსავალის სახით მიღებულია სიმინდი – 74 ც/ჰა-ზე, სოია – 21 ც/ჰა-ზე, 2010 წელს – სიმინდი 25 ც/ჰა და სოია 7,5 ც/ჰა.

2010 წელს სიმინდისა და სოიას მოსავალი შემცირდა წინა წელთან შედარებით ზაფხულის ძლიერი გააღვების გამო.

შეალედური კულტურების ნიადაგის ნაყოფიერებაზე გავლენის გამოკვლევის მიზნით ჩატარდა საცდელი ნაკვეთის აგროქიმიური გამოკვლევა ვარიანტებისა და წლების მიხედვით (იხ. ცხრილი 2).

ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ ნიადაგში შეინიშნება პუმუსის და პიდროლიზებადი აზოტის ზრდის ტენდენცია. ყველაზე მაღალი შედეგები შეინიშნება V ვარიანტზე (სოია მწყანე სასუქად ყვავილობის ფაზაში ნიადაგში ჩახტო). პუმუსის მატებამ საკონტროლოსთან შედარებით 2009 წელს შეადგინა 0,7%, პიდროლიზებადი აზოტის მატებამ კი – 3,7 მგ/100გნ. 2010 წელს კი პუმუსის მატებამ – 0,7%, პიდროლიზებადი აზოტისას კი – 7,3 მგ/100გნ. ამავე მაჩვენებლებით მეორე ადგილზეა სოია სამარცვლელი, პუმუსის მატება შესაბამისად – 0,03-0,4%, ხოლო პიდროლიზებადი აზოტი – 1,5-2 მგ/100გნ. რაც შეეხება II და III ვარიანტს, ისინი მეტ-ნაკლებად ჩამორჩებიან IV და V ვარიანტის მაჩვენებლებს.

იგივე ცდა განმეორებულია ნოსირის სასწავლო მეურნეობის გეგუთის განყოფილებაში და მიღებულია ანალოგიური შედეგები.